ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6733399

ნომერი: AR1996100

თარიღი : 18.10.2023

გაცემის თარიღი : 30.10.2023

გაცნობის თარიღი : 30.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, იაკობ რაინეგსის ქუჩა, N 36ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან სილაქაძე პ/ნ 22001023257
- თეთრიწყარო გარისის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 18

ოქტომბერს №AR1996100 განცხადებით მომართა ქეთევან სილაქაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებით №01.72.14.040.190 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 02 ოქტომბრიდან 2023 წლის 02 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ღია ავტოსადგომების ფართობი შეყვანილია ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
შესაბამისად, მოთხოვნილია ღია ავტოსადგომების ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღება და აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (292.5 კვ.მ.) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 21 ღია ავტოსადგომი (ფართობი: 292.5 კვ.მ.). თუმცა, ტექნიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული ავტოსადგომები არასწორად იქნა ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული. ამასთან, 0.00 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებაში და:

1.1 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას ავტოსადგომის ფართობი: 265.5 კვ.მ., ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს: 2143.12 კვ.მ.

1.2 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 292.5 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6689787 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.